138/2
1911

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი.



იანვარი
№ 2

1911

წელიწადი მეშვიდე

მცირე წლოვანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

I — ბავშვები, — სურათი ........................ 1

II — ჩურჩხელების ჩხუბი, — ლექსი ი. ევდოშვილისა ........ 3

III — ალილოზედ, — ვ. თამროშვილისა .................. 5

IV — სოფელში, — დ. თურდოსპირელისა .................. 10

V — მდგომარეობა შეიცვალა, — სასაცილო ნახატი ........ 14

VI — მე და თოვლი, — ლექსი ბაბილინასი ................ 15

VII — ოფოფი, — ივანე ელიაშვილისა .................... 17

VIII — მამა-შვილნი, — (იგავი) ალ. მირიანაშვილისა ........ 22

IX — ა) რებუსი და ახსნა ........................... 24

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

I—ბავშვები,--სურათი . . . . . . . . . . . . . . . . . . 1

II—ჩურჩხელების ჩხუბი,—ლექსი ი. ევდოშვილისა . . . . . . . . 3

III—ალილოზედ,—ვ. თამროშვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . 5

IV—სოფელში,—დ. თურდოსპირელისა . . . . . . . . . . . . . . . . .10

V—მდგომარეობა შეიცვალა,—სასაცილო ნახატი. . . . . . . .14

VI—მე და თოვლი,—ლექსი ბაბილინასი. . . . . . . . . . . . .15

VII—ოფოფი,—ივანე ელიაშვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . .17

VIII—მამა-შეილნი,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა. . . . . . . .22

IX—ა) რებუსი და ალსნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .24

ელექტრო-მბეჭდავი წიგნების. გამომც. ქართვ. ამხ—სა.



# ჩურჩხელების ჩხუბი.



ახალ წლის ღამეს ჩურჩხლებმა
ასტეხეს აურ-ზაური,
ყველაზე მრიელ გაჯავრდა
შუქურა ნიგვზიაური:
— ვინ მეცილება მაქრობას,
ვინ არის ჩემი ტოლიო,
სიუმესა ვფიცავ, საკვლევზე
ვერავინ გავიყოლიო!
— რაო, რას ჩმახავ ნიგოზავ,
რა თავი მოგაქვს გმირადა,
ყურძნიაულთან არ ჰღირხარ
გამხმარ, უგემურ ჩირადა!
ესა სთქვა ყურძნიაულმა,
მაგრამ დაჰკივლა თხილამა:
— ნუ იბერებით, ძმია,
დეე გაგვსაჯოს ილამა.
აქ ილა ფეხზე წამოდგა,
საქმე აქვს საჭოჭმანები,
მომჩივრებს სინჯავს, უყურებს,
ელავენ მისი თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს დაიწყო: ნიგოზავ,
მე შენ-კი გენაცვალები,
შენც კარგი რამ ხარ თხილუნავ,
ყურძნისავ, გშვენის ხალები!
აქ მოდით ყველა ჩემთანა,
თქვენში სუყველა კარგია,
ჩემი ჯიბისთვის არა ხართ
არც ერთი მეტი ბარგია!
შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,
ღირსნი ხართ ჩემის ქებისა,
პირშიაც არ დამლეოდეს
მე კვალი ჩურჩხელებისა!
სთქვა მოსამართლემ და ამით
გათავდა აურ-ზაური,
შესუსნულ ყურძენ-თხილასა
ზედ მიჰყვათ ნიგვზიაური!

**ი. ევდოშვილი.**





# ალილოზედ.

სამს ბიჭს ვიცნობ, გარდანქეშნებს; სამივენი შეუდარებელი მოლახტენი და მობურთავენი არიან, ერთსა და იმავე სკოლაში მოსწავლენი, ტიტო, რეზიკო და გოგლია.

კარგა ხანია, რაც ვიცნობ: 12 წლისათვის! არც ერთს არ გაეღწია; თამაშობასა და ეშმაკობაში ყოჩაღნი და მოხერხებულნი, სწავლაში-კი წელმოწყვეტილნი და ზარმაცნი. თუ ერთ-ერთს ვინმე შენიშნავდა: „რატო კარგად არ სწავლობთო“,—პასუხი, გარკვეული და ჩქარი, მზად იყო: „რუსული ენა ძნელია და მასწავლებელიც გვემტერებაო“.

დილა-ადრიან ჩაის ფაცა-ფუცით დალევდნენ და სკოლისკენ გაემართებოდნენ. ტიტო და რეზიკო გოგლიანთსა იდგნენ. როგორც ტიტოსი, ისე რეზიკოს მამა სოფლის მწერლად იყო. ქართლის წვრილ-ფეხა აზნაურს ბოლოს შეეგნო სწავლის საჭიროება და, იმის სიტყვით, გველის ტყავში მვრებოდა, რათა შვილისთვის სწავლა გაეთავებინა.

ჭო და, იმას ვამბობდით, სკოლის ეზოში შევიდოდნენ თუ არა, წიგნებს კედელთან მიაწყობდნენ და, სხვებთან ერთად, ლახტს გააჩაღებდნენ. ზარის ხმაზე დაღლილ-დაქანცულები კლასში შეიკრიბებოდნენ და გაკვეთილების გათავებამდის ცუღლუტობასა და ცელქობაში ერთმანეთს აჯობებდნენ.

— აბა, „ხარაბუზა და ფუტკარი“ წაიკითხე, — ხელი დაადო მასწავლებელმა ტიტოს.

— „მროხა ბუზა ფუტკარს შეხვდა, დაუძახა: გზა მამეო“. — დაიწყო ღრეჭით ტიტომ. მთელი კლასი გულიანად ხარხარებს და ტიტო ბიჭი კუთხეში წაბრძანდება.

ამგვარ ამბებს ჩვენი რაინდები ხშირად იმეორებდნენ.

სადილს შემდეგ, გიმნასტიკის გაკვეთილებს მოიმიზეზებდნენ და ისევ სკოლისკენ გაჭქუსლავდნენ ხოლმე, სადაც ხშირ ბინდამდის გაჩაღებული ლახტი და ჩილიკა-ჯოხი იყო.

საღამო ხანზე ერთი-ორჯელ გადაათვალიერებდნენ გასაკვეთებს, დალევდნენ ჩაის და იმ იმედით, რომ ყველაფერი ვიცით და მოვალეობა პირნათლად ავასრულეთო, ძილისთვის სამზადისს შეუდგებოდნენ ხოლმე.

ეს სადა და მარტივი ცხოვრება ჩვენის გმირებისა ნელნელა, დინჯად მიმდინარეობდა, სანამ საშობაოდ დათხოვნამ არ მოატანა.

დათხოვნის მოახლოვებამ ააფორიაქა ჩვენის ბიჭები, მეტადრე რეზიკო ღელავდა და მალიმალ გამოსთვლიდა, თუ რამდენი დღე რჩებოდა დათხოვნამდის, ან იმის მამის ჩამოსვლამდის.

რეზიკომ პირობა მისცა გოგლიასა და ტიტოს, მამა ჩემს ვეტყვი თქვენს სოფელში ჩემთან ერთად წაყვანასაო.

რა თქმა უნდა, თავ-თავიანთი დედ-მამა ნებას დართავდნენ თუ არა, — ეს მათვე უნდა მოეხერხებინათ.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, ეს ჩვენი საქმეაო, — დაარწმუნეს გოგლიამ და ტიტომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობის წინა დღეებში რეზიკოს იმედი არ გაუცრუვდა და მამა ჩამოუვიდა.

გოგლიასა და ტიტოს წაყვანაზედ მამამ წამს თანხმობა გამოაცხადა და საქმე გაიჩარხა: 24 დეკემბერს შუადღის მატარებლით რეზიკოს სოფლისაკენ გაემგზავრნენ. მატარებლით მხოლოდ სამი თუ ოთხი სადგური უნდა გაევლოთ, სადგურზედ ურემი დახვდებოდათ და ცხრა ვერსი ოღრო-ჩოღრო გზა ტაატით უნდა ეჩანჩალნათ.

სადგურს რომ კარგად გასცდნენ, ჯვარედინ გზაზედ დიდ გვერდელა თელასთან მეზობელ სოფლელებს ურმები გამოუშვათ და პატარა ბიჭებს ერთმანეთში ჭიდილი გაემართათ.

რეზიკოს მამამ რეზიკო და ტიტო სოფლის ბიჭებს აჭიდა: — თან გაჰხურდებით და გამხიარულდებით კიდეცაო.

ჯერ ინაზებოდნენ და ეოუმანობდნენ, მაგრამ მალე გაბედეს და ჭიდაობა გაიმართა.

—მოგვერდი უგდე, რეზიკო, მოგვერდი, —ამხნევებდა რეზიკოს მამა. მანამ რეზიკოს მოგვერდი მოაგონდებოდა, კისრულზედ მაიგდო სოფლელმა და მიწაზედ გაშხლართა. არც ტიტო გაუჩერებიათ გაულახავი. გოგლია კი ალბად შიშით ველარ გავიდა.

გზას გაუდგნენ, თან შორიდან სოფლელ ბიჭების დამცინავი მოძახილი ესმოდათ: —„ქალაქელ ფალავნებს გაუმარჯოთო!“ ერთის საათის მგზავრობის შემდეგ, სოფელს მიუახლოვდნენ. მთელს სოფელს კომლი ნისლივით თავს დაჰფარფატებდა. მთელი მიდამო დაღვრემილიყო, თითქოს სულ ყველას სიცოცხლე მოსწყენოდა და შიშველს ხეებს ყურები ჩამოეყარათ. აქა-იქ მოისმოდა წყალზედ მიმავალის მროხის ბღავილი.

სოფლის ხევი ყინულს დაეფარა, ზოგიერთ ადგილს კი ჩატეხილიყო და წყალი რუკ-რუკით მიმდინარეობდა.

რეზიკოანთ სახლიდან კომლი ბლომად ამოდიოდა, [illegible]ბად იმათი პირ-დაღებული ბუხარი ღუღღუღებდა და გრძელს სიმღერას ამბობდა მათს მოლოდინში.

ჭიშკართან მოხუცი ნინია დახვდათ, რომელიც ჯერ კიდევ რეზიკოს პაპას შეჭკედლებოდა და აგერ 30 წელი მათთან სცხოვრობდა. ნინია ჯერ ისევ ჭარმაგად იყო, სიმღერაში და კვიმატ სიტყვაში მთელს სოფელში ცალი არ ჰყავანდა, მეტადრე თუ ცოტას ნოეს წვეთს ყელს მოახვედრებდა. მთელი სოფელი მეტ სახელად „ტუსიას“ ეძახდა, რადგან ახალგაზრდობაში მოპარულ ბურვაკების ტუსვა მეტად ჰყვარებია.

— ეჭი, რეზიკოს გაუმარჯოს, ჩვენს რეზიკოს! დავაქკაცებულხარ რაღა, სწორედ დასანიშნად მომზადებულხარ! — ღიმილით შეჭხვდა ნინია. მათს მოსვლაზედ მალე სხვა შინაურებიც გამოიკრიბნენ.

— დედა ენაცვალოს და თავს შემოევლოს ჩემს რეზიკოს! — მოეხვია დედა.

რეზიკო, როგორც მოსალოდნელი იყო, ინდაურივით გაიფხორა და ყვანყვალი დაიწყო.

— რეზიკო, იცი, იორამიანთ ნუცამა მცემა გუშინ და მეუთხარი: რეზიკო მოვიდეს მეთქი! შენცა სცემ არა?! — ჩივილით მიესალმა ექვსის წლის და.

— რეზიკოს ვახლავარ! — თავის დაკვრითა სთქვა პურის მცხობელმა სიდომ და ხელი ჩამოართვა.

მალე ყველანი შინ შეიკრიბნენ, ნინიას გარდა, რომელიც ბურვაკის დასაჭერად გაემზადა.

შობა საღამოს მეტად კარგი სანახავია სოფელი; თითქოს ლეკის ჯარი შემოსევია ანაზდეულადაო, ისეთი ალიაქოთი სდგას ყველგან. ბურვაკების ჭყვირილს ხომ ილაჯი აქვს წაღებული.

რეზიკო და გოგლია ვითომდა თავიანთ ჭკუაში რუსულობდნენ კიდეც. დარო გოგო, რომელიც „ცხრა წვენას“ გასაკეთებლად ლობიოსა და სხვა და სხვა მარცვლეულობას არჩევდა, ება-დაღებული მეჭეურებდა. იმათს რუსულს და, ვინ იცის, გულში ფიქრობდა, რა ნასწავლები არიანო.

— რისას აკეთებენ „ცხრა-წვენას?“ — შეეკითხა დაროს გოგლია, რომელსაც შობა ღამეები ტფილისში გაეტარებინა.

— ავიღებთ ხოლმე ცოტ-ცოტას ხორბალს, სიმინდს, ქერს, შვრიას, ფეტვს, ლობიოს, მესუდოს, ცულისპირას და ცერცვს, და შეჭამანდს გავაკეთებთ ხოლმე, აი, ამაღამ დელს დამეს; ისეთი გემრიელი კეთდება, რომ თითებს შიგ ჩაიკვნეტამ! — დაამთავრა ახსნა დარომ.

ვ. თამროშვილი

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სოფელში.

სოფელ ვარდისუბნის ახალგაზრდობა ძალიან მხიარულად ატარებდა წლევანდელ ზაფხულს. დილიდან მოკიდებული ხშირ-ბინდამდის არ შორდებოდნენ ერთმანეთსა და სხვა და სხვა გასართობით იქცევდნენ თავსა. მაშინაც, როცა ჩვენი ამბავი იწყება, თუმცა ცა შავად ნაგრაგნი საზარლად ჩაკუშრული რისხვას უქადდა ქვეყანასა, – მათ მაინც ლევაანთსა მოეყარათ თავი და ისეთი სიცილ-ხარხარი ჰქონდათ, თითქოს ბუნებას ეუბნებოდნენ, როგორც გინდა მოჟამურდი და მოპირქუშდი, მაინც ვერ შეგვიცვლი სიმხიარულეს, ავ-ტაროსშიაც თავის გართობის მიზეზს ვპოვებთო. ბუნებას, სჩანდა, არ ეპიტნავებოდა ბავშვების ესოდენი თავხედობა და სიბრაზით სხვილსა და ცივ წვიმის ცვრებს სწვეთდა. ჭაერი მძიმდებოდა, ღრუბლების ქარავანი თანდათან დაბლა ეშვებოდა, ქარი სიმძაფრეს უმატებდა ბუმბერაზ ჭანდრებსა, მრავალ შტოვან წიფლებსა და თავკარავა მუხებზე ტოტებს ლაწა-ლუწი გაუდიოდათ.

უცებ ცამ გაიელვა და მოჰყვა დამაყრუებელ ჭექა-ქუხილსა. ერთის თვალის დახამხამებაცა და თითის სისხო სეტყვა შუილით წამოუშინა. ყველას თავ-ზარი დასცა ცის რისხვამ, ცხოველები, ფრინველები აფხორილნი მიემურებოდნენ თავის შესაფარებლად. მუშა კაცი ხომ უსაზღვრო მწუხარებამ შეიპყრო, როგორც კი გაითვალისწინა ის შედეგი, რომელიც მოჰყვებოდა გა-

ღვართქაფებულ ცის გრგვინვა-რუხრუხსა და სასოწარკვეთილებით მიაშურა წასაქცევად გვერდზე გადაზნექილ წალმით დახურულ ქოხსა.

— ღმერთო, ღმერთო, შე დალოცვილო, რაზედ გვირისხდები ისედაც დაბეჩავებულთ და რად გვიჩანაგებ ოჯახსა? რას გვემართლები? ხომ სულ გატიალდა, რაც წელებზე ფეხის დგმით და ჭირის ოფლის ღვრით მოგვიყვანია? — შესძახა აკანკალებულის ხმით მთლად გაჭაღარავებულმა ივანემ და გულ-ხელ დაკრეფილი ჩამოჯდა იქვე ნამორზე.

ივანეს დედამ კი მაშინვე სახატეს მიაშურა, აანთო წყვილი ყვითელი სანთელი და მუხლთ მოყრილი შეევედრა ღვთის მშობელს ცოდვების პატიებასა. სოფელს ხშირი ზარის ზრიალი მოეფინა.

— ბები, ბებილო, ამ დროს ვინ წავა საყდარში, რომ ზარსა რეკენო, — შუა კარებში გაჩერებული შეეკითხა სოსია მოკრუსუნე ივანეს დედასა; სოსია რადგან ქალაქში სწავლობდა, სოფლად ერთობ ცოტა ხანს იმყოფებოდა და, რასაკვირველია, ვერ გაეცნობოდა, თუ რას ჰფიქრობს ხალხი ამა თუ იმ ბუნების მოვლენაზე.

— ჯერ ერთი ესა, რომ კარებში ნუ დგები ქუხილის დროსა და მეორეც ისა, რომ ზარის რეკით ბრმა ანგელოზს ატყობინებენ სეტყვის სოფლად მოსვლასა, — უპასუხა ბებიამ და უკან გაბრუნდა. ასე ეგონა ცნობის-მოყვარე ყოველ მხრით დავაკმაყოფილეო. მაგრამ სოსო, რაკი ვერა გაიგო-რა, დაჟინებით ჩააცივდა:

— როგორ თუ ანგელოზი, ვინ ბრმა ანგელოზი, მერე იმას რა, სოფელში სეტყვა მოვა თუ არა?

— ბრმა ანგელოზი, შვილო, სეტყვის მომყვანია მხოლოდ მთებსა და ტყე-ღრეებზე, მაგრამ ხანდ ხან სიბრმავის გამო გზა აერევა ხოლმე და მოადგება სოფელს თავის შეუმჩნევლად. მოძღვარიც მისთვის არეკინებს ზარს, რომ უკან გააბრუნოს.

— ჭოოო, — გააგრძელა ხმა სოსიამ ისეთის კითხვით და გამომეტყველებით, თითქოს ძნელ ამოცანას მიჰხვდაო. სოსია რომ დედაბრისაგან სწავლობდა ბუნების მეტყველებას, დანარჩენნი სიამოვნებით აყოლებდნენ თვალს ცაზე გაკლაკნულ ელვის გველებს.

— გრრრ... რახ... — დაიჭექა უეცრივ და თითქმის მთელი დედამიწა შეაზანზარა. ბავშვები პირველად გაინაბნენ, სული გატვრინეს, მერე კი ისე ანაზდად შეშინებაზე ხარხარი მოაყოლეს.

— რა გაცინებთ, თქვე არამზადებო, თქვენა! — დაუტატანა ბებიამ და თან თავის მზითვის ქვაბი გაუწოდა თოფრას ბიჭს, რომელმაც ეზოში გაიტანა და პირქვე დაამხო.

— მართლა, რატომ წეღანვე არ გავიტანეთ, ხომ აქამდის შესწყდებოდა კიდეც სეტყვა, — წამოიძახა და ციმციმით გაარბეინა კარგის სიმძიმის ქვაბი.

ამ მოგონებას მოჰყვა მეორე. ყველა სიერმის შვილებმა კისერში გოროხი სეტყვა ჩაიყარეს და თან კვიცივით შეკუნტრუშდნენ, ისე გაუღიზიანა მხურვალე მარღვები. რა-კი ბუნებამ გული იჯერა, ისევ დაწყნარდა, მიუჩდა. ნაფლეთ-ნაფლეთმა ღრუბლებმა კავკასიის მთებს მიაშურა და მის თხემებს შემოეხვია. კირჩხიბზე გადამჯდარმა მზემ სიხარულით გამოაჭყიტა თვალები და სეტყვისაგან მორევული არე-მარე გააბრწყინა, აანარნარა. სპეტაკ სხივების ამბორმა მიწის პირას გასწორებულ მოლს თექა ისევ ააშლევინა და მწვანედ დააწყებინა ხასხასი.

ორი შვიდ-ფეროვანი სარტყელი გაქვლო სარკესავით მოკრიალ-მოლაჟვარდებულ ცას და უფრო წარმტაცი სანახაობა მიანიჭა, კუდრაჭა თეთრ-გულა მერცხალმა და კოპწია ტოროლებმა ხომ ცაში კამარის კეთებით და ზარივით წმინდა წკრიალით არე-მარე აახმიანეს.

— ჰა, ჰა, ჰა, ერთი იმ ცისარტყელას შეხედეთ, როგორ შვილდივით მორკალებულა — წამოიძახა ფიდამ და ამხანაგებმა აღმოსავლეთისკენ გაახედა. ცისარტყელის დანახვა და ბიჭების ეზოში გაშლა ერთი იყო. ყველამ მომცრო ქვას წამოავლო ხელი, ზურგზე მიიხალა და შესძახა:

ცისარტყელავ, დაგინახე,
ზურგი კარგად შემინახე...
ცისარტყელავ დაგინახე,
ზურგი მაგრა შემინახე.

— ბიჭებო, ბიჭებო, ურიგო არ იქნება ახლა ყელის ჩაკოკლოზინება ცივ-ცივის ხილითა, აი! — დაიძახა სინსილა წასულმა ტეფომ, რომელმაც თვალი მოჰკრა ბებია ჰელოს ბაღჩაში კუნაპეტივით შავ, სხვილ-მარცვლებიან ალუბალს.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგას არა ემჯობინება რა, — უპასუხეს დანარჩენმა ბიჭებმა და, რამდენსამე წუთს შემდეგ, კალიებივით მიესივნენ ბაღჩის ღობეს, რომ ამ დროს კვლებიდან დაუტატანა ბებია ჰელომ:

— აი, თქვე ქურდ-ბაცაცებო, თქვენა! დადექით, დადექით ერთი მანდა, რა დღე დაგაყენოთ...

ამ ხმის გაგონება და ბიჭების ფაცხა-ფუცხით გაქცევა ერთი იყო... სადილობამაც მოაღწია და ყველანი შინისაკენ წავიდ-წამოვიდნენ მხიარულის ყიჟინითა.

ივანე-კი მიჰყურდნობოდა ღობეს და ცრემლ-მორეული მწუხარედ გაჰყურებდა მორევგილ ჭირნახულს.

**დ. თურდოსპირელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მდგომარეობა შეიცვალა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მე და თოვლი.



ქუშა ცაო, თოვლის მოსვლა
მენატრება,—ვის არ უნდა?
ღმერთო, ღმერთო, ამიხდინე
ავიტაცო ხელში გუნდა,

ამხანაგებს დავუშინო,
მივაყოლო ზედი-ზედა!..
რომ არ ვიყო მარჯვე ბიჭი
ეს ვინა თქვა? ვინ გაბედა?

მოდი თოვლო, ვით პეპელა,
მოდი ფრენით!—მინდა გნახო...
მირს, მიწაზე დაიფინე—
დავწვე, კაცი გამოვსახო.

ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელზე წინდა წამოვიცვა,
ავატარო დიდი ზვავი,
გამოვსახო ეკლესია,
მშვენიერი სანახავი...

თოვლის ფიფქო, როს ჭაერში
ირხევი და მირს მოჭფრინავ,
ხელ-გამლილი გეგებები
სიზმარშიაც, როცა მმინავ...

მინდა გულზე მიგიხუტო,
შემიყვარდი, როგორც დედა;
მინდა გკოცნო, მაგრამ ვშიშობ
დამიდნები ტუჩებზედა.

ბაბილინა.



# მამა-შვილნი

(იგავი)



გლეხი კაცი თავისის ხელით ახალ სახლს იშენებდა; ორი შვილი ჰშველოდა — ერთი დიდი და ერთი პატარა. ერთხელ, როცა პატარამ უფროსი ძმა მოშორებით დაიგულა, მამას ასეთის საჩივრით მიმართა:

— მამავ, ვეღარ ამიტანია ამოდენა უსამართლობა: თითქმის მთელის ჩვენის ოჯახის სარჩო-საბადებელი ამ ჩემ უფროსს ძმას უნდება; ყველაფერი მეტი სჭირია: მეტი სმა-ჭამა, მეტი ჩაცმა, მეტი დახურვა. ამისი ძმობა მე რა ხელს მომცემს, — ან ეგ გამეყარე, ან მე თვითონ გავეყრებიო.

მამამ, პასუხის მაგივრად, უმცროსს შვილს საქმე დაავალა:

— შვილო, შენ გაზდას, მანდ რო საყვავე ზე გდია, დასწვდი, აიღე და მარდად მომაწოდე, უნდა კედლებზედ გავდოო.

— აბა, ამოდენა ხის აღება მე სად შემიძლიან; მოიცა, ჩემს უფროსს ძმას დაუძახებო, — მიუგო პატარამ.

— კმარა, ნუ შესწუხდები, დაძახება საჭირო აღარ არის, — უთხრა მამამ, — ჰხედავ, დიდ ძმას დიდი ხის აწევაც

შესძლებია; მაშ, დღეიდან გახსოვდეს, რომ უფროსს ძმას ტყუილად ემდური: ვისაც მეტი გარჯა და შრომა მიუძღვის, იმისთვის მეტი ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვაც შესარგო და ალალიაო.

პატარამ სირცხვილით თავი დაღუნა და, მას შემდეგ, ძმაზედ აღარ დაუჩივლია.

ალ. მირიანაშვილი.





138/2
1911

...ადი მე-VII. № 2 იანვარი 1911 წ.



ბავშვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოფოფი.



ჩვენი ჭრელი ფრთა-სამოსელი და სავარცხელივით დაკბილული ქოჩორია მიზეზი, რომ ხალხი და განსაკუთრებით ბავშვები მუდამ დიდის ყურადღებით შემოგვცქერიან. მაინცადა მაინც დიდს ბრალს ვერას დავდებთ ადამიანს და დიდს სამდურავს ვერას ვეტყვით. ადამიანი სრულებითაც არ გვერჩის; მხოლოდ ეგ არის, რომ ხალხში გავრცელებულია ცრუმორწმუნეობა, ვითომ ოფოფის ხორცი მარგებელია გულმანკიანისათვის, შეშინებულისათვის და სხვა გვარ ავადმყოფთათვის და ამიტომ გვიგებენ ხოლმე მახეს და გვიჭერენ. ჩვენდა საკეთილდღეოდ, ეს ცრუმორწმუნეობა თანდათან კლებულობს და ჩვენი ცხოვრებაც უვნებლად მიმდინარეობს.

იმ თავითვე-კი დაშინებულნი დიდის სიფრთხილით ვექცევით, ადამიანი მოსისხლე მტრად მიგვაჩნია და შორს გაურბივართ. ან-კი რა აქვს ჩვენთან სამტრო ადამიანს? არაფერი! რომ ჩვენ არა, ვინ არის ადამიანის სიბინძურის მომსპობი სოფელ-დაბებში და თვით ქალაქებშიაც? თუნდ იმას ნუ ჩავაგდებთ სათვალავში, თუ რამდენ ჭია-მატლსა სპობს გაზაფხულზე ჩვენი გვარი ბარტყებისა და თავის თავის გამოსაკვებად? სოფლელები გვიჩივიან, ბინძურები ხართო, ჭუარხართო, თქვენს ახლოს არ გაივლებაო. ეს საჩივარი მართალიც არის და არც მართალია. მართალია მით, რომ როცა საბუდარზე ვსხედვართ ბარტყების გამოსაზრდელად, მართლაც ბუდეში იკრიბება ბევრი სიბინძურე, რომელსაც ფრიად ცუდი სუნი სდის. ამის გამო ჩვენი ფრთა-ბუმბულიც აუროლებულია, ვიდრე ბარტყებს არ დავაფრენთ და ბუდიდან არ ამოვალთ. მართალი არ არის მით, რომ, ბარტყების გაზრდა-დაჩიტების შემდეგ, ისევე სუფთები ვართ, როგორც სხვა ფრთოსნები. იმასაც-კი მოგახსენებთ, რომ საზღვარ-გარედ ჩვენს ხორცს ლაზათიანად შეექცევიან და გემრიელ ლუკმადაც მიაჩნიათ. ამას სისუფთავისათვის მოგახსენებთ, თორემ შეწვა-შეხრაკვა ღმერთმა გვაშოროს იქაცა და აქაცა!

თამაზ გიგლაძის ხუთ თვლიანი სასახლე წამოჭიმულია პატარა გორაკზე, რომელსაც ქვევით მეტის მეტის სიცელქით ჩამოჰრბის ხმა მაღლა მომღერალი მთის წყალი. სასახლის აივანი ტკაცუნაზეა გადაწოლილი. ტკაცუნა, — ასეთია იმ მდინარე წყალის სახელი, — აივნის ქვეშ მორევივით არის. ამ მორევს თევზი ეტანება. ბავშვები აივნიდან ანკესს უშვებდნენ, გრძელ კანაფის თოკზე მიბმულს, და ხშირად ამოჰყავდათ ხან ღორჯო, ხან წვერა და ხან ნაფოტა თევზი. ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ თევზებს ხმაურობისა ეშინიანთ და ამიტომაც არავის არ აძლევდნენ ნებას აივანზე ხმა-მაღლა ლაპარაკისას.

ამიტომაც თამაზი და მისი მეზობელი მაქსიმე ტურტლამე დაბალის ხმით მუსაიფობდნენ და სიამოვნებით უცქეროდნენ გახარებულ ბავშვებს, რომელთაც ერთი მოზრდილი ვერცხლის თასი აევსოთ წყლით და შიგ ნანადირევი თევზი ჩაეყარათ. საცოდავ პატარა თევზებს ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდათ, თასში დატივტივობდნენ და ძლივს სულს იბრუნებდნენ. წყლის გაღმა ნაპირი გამწვანებული იყო. ნორჩ წაბლნარის ფოთლები ოდნავ ირხეოდა წყნარ ნიავის ქროლვისაგან. ახალი დაქორწინებული ვიყავი. ბუდეც მზადა გვქონდა მე და ჩემ ცოლს საქათმის უკანა კედელზე. ჩემი ცოლი კვერცხის დასადებად მზად იყო და ორივე ცოლ-ქმარი სამზადისში ვიყავით. დილით რომ ავდექით და დავნაყრდით, ჩემი ცოლი საითღაც მიიმალა; აგერ შუადღე ახლოვდებოდა, და ის-კი არსად სჩანდა. ჩამოვჯექ წაბლის ხის შტოზე და დანაღვლიანებული აქეთ-იქით ვიცქირებოდი. შემდეგ მოვრთე გალობა, რომ ჩემის ცოლისათვის ხმა მიმეწვდინა. კუკუ, კუკუ, კუკუ!—გავიძახოდი, რაც შემეძლო, მაგრამ ჩემი საყვარელი ცოლი არსად იყო. დიდ ხანს ვეძახდი ჩემს მეგობარს, მზეძაც გადიხარა და გული მიწვრილდებოდა. საიდანაც იყო, ჩემი მეგობარიც მოფთხრიალდა და პირდაპირ ბუდეში ჩაეშვა. ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც იმისმა დანახვამ მე გამახარა! ავდექ და მეც მივედი მასთან და წესისამებრ მიუალერსე. როცა დავმშვიდდი და გული საგულეს მეგულებოდა, ერთი ხმაურობა შემომესმა. თამაზი და მაქსიმე ხმა მაღლა ბაასობდნენ; ჰკვირობდნენ, რომ მე გუგულივით გალობა მცოდნია.

ამოდენი ხანი სოფელში ვცხოვრობ და ეს პირველი გაგონებაა, რომ ოფოფი კუკუს იძახოდეს! მამა არ წამიწყდება, ეს რაღაც მოჩვენებას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს,—ჰკვირობდა თამაზი.

—იმდენი სიკეთე ჩემ შვილებს მიეცეს, რამდენჯერ მე ოფოფის კუკუს ძახილი გამეგონოს,—უპასუხა მაქსიმემ.—

საქმე ის არის, ჩემო მეგობარო, რომ როცა კუკუს ძახილი გვესმის, ჩვენ გუგული გვგონია და თვალ-ყურს არ ვადევნებთ, თორემ ხშირად ოფოფი გაიძახის სწორედ იმ ხმითვე და იმ რიგადვე, როგორც გუგული. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენის თვალით ვხედავდით ოფოფს და ჩვენის ყურით ვისმენდით მის კუკუს.

ამასობაში შებინდდა კიდეც და ჩვენც მილს მივეცით თავი.

დილის რიჟრაჟზედ ამოვფრინდით ბუდიდან მე და ჩემი ცოლი და საუზმე გიახელით. დიდის გემოვნებით არ დაუჯილდოვებივართ ბუნებას და, რაც ჩვენის მასპინძლის სახლ-კარის მიდამოში ბავშვებისა, თუ ადამიანების განავალი მოიძებნებოდა, მსწრაფლ ავალაგეთ. მაისი იყო. ბუნება ჰყვაოდა და საქორწილოდ დამზადებულიყო. ჩემმა ცოლმა წელს 5 პატარა მოგრძო, მომწვანო ფერის თეთრ წინწკლებიანი კვერცხი ჩაალაგა რიგ-რიგად ბუდეში და დიდის თავგამოდებით 16 დღეში გამოჩეკა 5 ბარტყი. ახლა ჩემზედაც მოდგა შრომის ჯერი და ცოლ-ქმარმა მივყავით ხელი შვილების გამოზრდას. ვმებნიდით ჭიებს, მატლებსა და ჭოღოებს შვილების საზრდოდ. უთუოდ ყელში უნდა ჩასჩარო ბარტყს საჭმელი, თორემ თითონ ვერ აიღებს ნისკარტით. არც ჩვენ შეგვიძლიან ნისკარტით საზრდოს აღება, რომ გრძელი ენა არა გვქონდეს. ჭოღოს მაგარი ფრთები უნდა მოვაცალოთ ქვაზედ ან სხვა რამ მაგარ საგანზე ცემით და, როცა მარტო რბილი შერჩება, მაშინ ვჭამთ ხოლმე.

ჩვენი შვილებიც მოიჩიტნენ და გადმოვაფრინეთ კიდეც ბუდიდან, მაგრამ ახლაც დედ-მამის ხელმძღვანელობა სჭირდებათ, რომ ონავარს არ ჩაუვარდნენ კლანჭებში. ძრიელ გვეშინიან ყვავ-ყორნისა და ყოველ გვარ ონავარ ფრინველისა. კატა და მაღლი ხომ გულს გვიხეთქენ, როცა სადმე წამოგვესწრობიან. ადამიანი გულკეთილია, მაინცა და მაინც არას

გვერჩის, მაგრამ არც მისი ნდობა შეგვიძლიან. ცხენისა, ხარ-კამეჩისა და ცხვრის შიში არა გვაქვს. პირიქით, იმათი მეზობლობა სასურველიც არის ჩვენთვის, რადგან იმათი სასუქი აუცილებელია ჭია-ღუების გასამრავლებლად და ეს ხომ ჩვენი საჩხოა! დაოსტატებულ-დაჩიტული ჩვენი შვილებიც თავის გზას გაუდგნენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგნენ. ახლა ჩვენც გავსუფთავდით იმ სიბინძურისაგან, რომელიც ბუდეში გვედებოდა ბარტყების გამოზდის დროს. ჭიებიც ბევრი ფუსფუსობდა ჩვენს ბუდეში და მყრალი სუნი იდგა. ვინ იცის, ეგებ ესეც ერთ ერთი საშუალებათაგანი იყოს ჩვენის თვითარსებობის დაცვისათვის?! რომ ეს არა, რომელიმე ღამის ან დღის ონავარი დღეს შეგვიმოკლებდა ჩვენცა და ჩვენს შვილებსაც.

**ივანე ელიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რებუსი

 ,  რ

 , ე  „

მე-1 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

მოგვილოცავს ახალი წელიწადი.

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი: თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

# „სახალხო გაზეთი“

**გაზეთი გამოვა 1911 წელს იმავე პროგრამით როგორც 1910 წ. გამოდიოდა.**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1011 წ. გაზეთს ექნება

**გამოვა** **სურათებიანი დამატება** **კვირაობით**

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., ერთი თვით 80 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან დამატებით 7 კაპ., წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ. ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი Тифлисъ, редакція „САХАЛХО ГАЗЕТИ“

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა, თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

---

**მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის**

სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

# „განათლება“-ზე

**(წელიწადი მეოთხე)**

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით **სამი მანეთი**, ნახევარი წლით ორი მანეთი, სოფლის მასწავლებლებისათვის წლიურად ორი მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი რამდენიც ხელის მომწერლები იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადული“-ს რედაქციაში. პროვინციებში კერძო აგენტებთან.

**მისამართი**—Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія
Л. Г. БОЦВАДЗЕ

P. S. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს დროზედ აცნობონ ხელის მომწერთა' ადრესები.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

## 1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

**წელიწადი მეშვიდე**

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1911 წლის ხელის-მომწერლებს საჩუქრად მიეცემათ:

I. ლევ ტოლსტოის მოთხრობა: **„ბავშვობა და სიყრმე“**, თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით და ბიოგრაფიით, —II. **„რჩეულ მოთხრობათა კრებული“.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს და უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. საზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**